განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 10.01.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.02..2020

თბილისი
2020 წ

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **218076542** |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, 1120 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე, საქართველოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ცოდნა ტურიზმის დარგის თანამედროვე კონცეფციებისა და პრინციპების, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციური სფეროების: საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის შესახებ.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. 240 ECTS კრედიტიდან: 60 კრედიტი საბაზისო სასწავლო კურსებზე; 160 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე, ხოლო 20 კრედიტი სპეციალობის არჩევით კურსებზე ნაწილდება; სპეციალობის არჩევით კურსებს სტუდენტი ირჩევს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან;

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პირი, აქედან აკადემიური პერსონალის 24 წარმომადგენელი (მათ შორის 11 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი) და 10 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მეთოდები/აქტივობები:, როგორიცაა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, ასევე აქტივობები - დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სფეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან. პროგრამაზე ირიცხება 69 სტუდენტი და 159 კურსდამთავრებული. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 10 იანვარს. ვიზიტამდე, 9 იანვარს შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ეკა დევიძე, ეკა ლეკაშვილი, ანა მიხელიძე), შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა დააზუსტეს არსებული კითხვები ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და თანმხლები დოკუმენტაციის ირგვლივ და წარმოადგინეს მოსაზრებები. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი 10 იანვარს სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-

ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, უსდ-ს მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ცოდნა ტურიზმის დარგის თანამედროვე კონცეფციებისა და პრინციპების, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციური სფეროების: საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის შესახებ.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და შინაარსის განვითარებას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ტურიზმის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში.

პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და

პასუხისმგებლობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით, და შეესაბამება დარგის სფეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესი მოიცავს სტუდენტების ყოველსემესტრულ გამოკითხვას პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასების მიზნით; აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვას პროგრამის კომპლექსური განხორციელების ხარისხის ამაღლების მიზნით. პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა უფრო მეტად ინფორმირებულობა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ.
  - სასურველია სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის დონის ზრდა და მოტივაციის ამაღლება/წახალისება .
  - სასურველია უსდ-ს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის (დარგის სახელმძღვანელოები) ყოველწლიურად განახლება.
  - სასურველია დამსაქმებელთა და სტაჟირების განმახორციელებელ ობიექტებთან ინტენსიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა, სტუდენტებისათვის პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკა-სტაჟირების კომპონენტის უზრუნველსაყოფად.
  - სასურველია, თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარების და შეფასების პროცესში მხარეების სრულფასოვან ჩართულობას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება ცოდნა ტურიზმის დარგის თანამედროვე კონცეფციებისა და პრინციპების, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციური სფეროების: საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის შესახებ.<br><br>სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში განხილულ/შესწავლილ იქნა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები (2015, 2018 წწ) ტურიზმის დარგის სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნებისა და მოსალოდნელი ტენდენციების კუთხით. საქართველოს შრომის ბაზრისათვის საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობას ადასტურებს აგრეთვე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017 წელს შრომის ბაზრის კვლევების თაობაზე გამოქვეყნებული დოკუმენტი ,,საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“, ეფუძნება ტურიზმის ინდუსტრიაში ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენას ,რომლის გათვალისწინება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელსშეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიაში უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, ასევე შესაბამისობაშია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, კერძოდ: ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების |

| |
|---|
| წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას. იმავდროულად, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის წარმატებით დასაქმებას ტურიზმის სექტორში. ასევე განაპირობებს მის მზაობას მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით, და შეესაბამება დარგის სფეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებას. ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება უსდ-ში ხორციელდება რამდენიმე შეფასების ინდიკატორის გამოყენებით; სწავლის შედეგის მიღწევის პირდაპირი მეთოდით - ე.წ. შეწონილი შეფასების გამოყენება, რომლის გამოთვლა და გამოყენება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით“ (შემდგომში - შეფასების მექანიზმი) განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების თაობაზე სრული ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, აგრეთვე, მისი მიღწევის შეფასება არაპირდაპირი შეფასების გზით (სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვ.). პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება თითოეული შეფასების ინდიკატორის მიხედვით განისაზღვრება შეფასებაში ჩართული სტუდენტებიდან იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობით, რომელთა შეფასება შეესაბამება ან აღემატება მოთხოვნას; პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებული თითოეული ინდიკატორის მიხედვით მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს; პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება 70%-ით. იმ შემთხვევაში, თუ ტურიზმის პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება აღემატება 70%-ს, სწავლის შედეგი ჩაითვლება მიღწეულად. შეფასების შედეგების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის ხარისხი. შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შედეგების შეფასების ეს მექანიზმი დაინერგა წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დროს, პროგრამის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო კურსების სემესტრული შედეგებით სამომავლოდ გამოიკვეთება რამდენად მოქნილია აღნიშნული მიდგომა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.<br>ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განთავსებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ფაკულტეტზე, ბიბლიოთეკაში. პერიოდულად, დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს საორიენტაციო შეხვედრას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. 240 ECTS კრედიტიდან: 60 კრედიტი საბაზისო სასწავლო კურსებზე; 160 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე, ხოლო 20 კრედიტი სპეციალობის არჩევით კურსებზე ნაწილდება; სპეციალობის არჩევით კურსებს სტუდენტი ირჩევს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;<br><br>ტურიზმის პროგრამაში გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლების კომპონენტი. ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (**CEFR**) შესაბამისად) ინგლისური ენის B2/1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას B1.1(pre-intermediate) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში შეთავაზებულია სხვა უცხო ენებიც, როგორიცაა: რუსული, გერმანული და პოლონური.<br><br>პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და შინაარსის განვითარებას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე. პროგრამის შემდგომ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ისინი განსაზღვრულია კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის. |

| |
|---|
| |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; |

- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ტურიზმის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი = 25 საათი). სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა სხვადასხვაა და გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი); პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან: 60 კრედიტი საბაზისო სასწავლო კურსებზე მოდის; 160 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია, ხოლო 20 კრედიტი სპეციალობის არჩევით კურსებს აქვს დათმობილი. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია სასწავლო კურსის სპეციფიკის, მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ტურიზმის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. როგორც ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას აღინიშნა უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს პროგრამის განვითარებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას, ერთ-ერთ ასეთ ინიციატივათა შორის საბიბლიოთეკო რესურის განახლებაა, ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო არის განპირობებული შედარებით ძველი გამოცემების წიგნად ფონდში დაარქივება, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული უახლესი ლიტერატურით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა მუდმივად ყოველსემესტრული პროცესია. ამავდროულად, გორის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი და პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა.
- საბიბლიოთეკო რესურსი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტებისათვის სხვადასხვა ტიპის პროექტების, კონფერენციების თუ შეხვედრების ორგანიზებაში, დაგეგმილია ტურიზმის საერთაშორისო ფორუმის ჩატარება 2020წ. სტუდენტები გაწევრიანებულები არიან კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და მონაწილეობენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ასევე, სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და |

| |
|---|
| დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას; დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი მუზეუმებთან, ტურისტულ სააგენტოსთან, გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის მიმართულების სამსახურთან, მემორანდუმის საფუძველზე ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან პრაქტიკის ობიექტზე. სტუდენტს ჰყავს პრაქტიკის მენტორი უნივერსიტეტის მხრიდან, ასევე მენტორი პრაქტიკის ობიექტიდან, რომელიც აფასებს სტუდენტის უნარებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, პრაქტიკის გავლის შემდეგ კი სტუდენტი პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს პრაქტიკის დღიურს და ფინალური გამოცდისთვის შექმნილ კომისიასთან კი წარადგენს პრაქტიკის გავლის შედეგების პრეზენტაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, კურიკულუმის რუკა;<br>○ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე.<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება).<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სალექციო მეთოდი - წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობები, დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი.<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.<br>შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, აქედან 65-70 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 25-30 ქულა დასკვნით გამოცდას. დასკვნითი გამოცდა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.<br>შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად სპეციალურად გამოყოფილი პირი ახდენს სტუდენტთა დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვას, რომელიც შესამოწმებლად გადაეცემა ლექტორებს. უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტი და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია სასწავლო უნივესიტეტის ვებ-გვერდზე.<br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. |

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.<br>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• პროგრამა და სილაბუსები;<br>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• ვებ-გვერდი;<br>• ინტერვიუს შედეგები; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია, როგორც სტუდენტური პორტალის მეშვეობით, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პირის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება. სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ლექტორებს, ასევე სტუდენტებს. სტუდენტების მეტი ჩართულობის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მათი ცნობიერების ამაღლება ელექტრონული ბაზების შესახებ.<br>გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მხრიდან ჩართულობის დონე დაბალია, რაც როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა განპირობებული იყო დაბალი ენობრივი კომპეტენციით, არსებული ბარიერის აღმოსაფხვრელად ტურიზმის პროგრამის კურიკულუმში კრედიტების უფრო მეტი რაოდენობა დაეთმო ინგლისური ენის სწავლებას, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა სხვა უცხო ენების სწავლების შესაძლებლობა, როგორიცაა: რუსული, გერმანული და პოლონური. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ტურიზმის პროგრამა, კურიკულუმი, სილაბუსები<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; |

- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა უფრო მეტად ინფორმირებულობა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ.
- სასურველია სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის დონის ზრდა და მოტივაციის ამაღლება/წახალისება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| შეფასება<br><br>ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| **4.1 ადამიანური რესურსი** |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ტურიზმის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 34 პირი, აქედან აკადემიური პერსონალი 24 (მათ შორის 11 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი) და 10 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“ და არის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, მათი საერთო რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.<br>პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.<br>პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამუშაო აღწერილობები; პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ საკონკურსო მასალები;<br>○ გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები;<br>○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარების, აგრეთვე წახალისების მიზნით. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის" შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები - ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა: **Tempus 1-2013-1-PT JPCR,** LMPH - ALRAKIS BACKIS Erasmus Mundus, action2 და Erasmus+ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);<br>○ პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **4.3 მატერიალური რესურსი** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურით (კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს. აღსანიშნავია, ინგლისური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც 2003 წელს დაარსდა აშშ მშვიდობის კორპუსის ხელშეწყობითა და ამავე კორპუსის მოხალისის მიერ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო |

| |
|---|
| მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპიუტერული ლაბორატორიები;<br>○ საბიბლიოთეკო რესურსი<br>○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია უსდ-ს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის (დარგის სახელმძღვანელოები) ყოველწლიურად განახლება |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. ამასთან ერთად, სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს, ითვალისწინებს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უწყვეტ ფუნქციონირებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება.
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესი მოიცავს სტუდენტების ყოველსემესტრულ გამოკითხვას პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეფასების მიზნით; აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვას პროგრამის კომპლექსური განხორციელების ხარისხის ამაღლების მიზნით.<br>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შიდა ინსტრუმენტების საფუძველზე აფასებს სილაბუსებს და პროგრამას. შემდგომ პროგრამა შესაფასებლად გადაეცემა კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს პრორექტორი. კომისიის მიერ პროგრამის შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები უბრუნდებათ პროგრამაში ჩართულ პერსონალს. ისინი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ძირითადად ითვალისწინებენ ხარისხის შეფასების შედეგებს. კორექტირებული პროგრამა შესაფასებლად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. |

ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს თვითშეფასების ანგარიშს, რომლის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარების და შეფასების პროცესში მხარეების სრულფასოვან ჩართულობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

| |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამა გადამუშავებული იყო წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწიებით. კერძოდ: გაიზარდა არჩევითი სპეციალობის სასწავლო კურსების ჩამონათვალი, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მითითების რეკომენდაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;<br>○ სილაბუსები;<br>○ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |

| |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროცესის წარმართვა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურების, ინსტრუქციებისა და მექანიზმების საფუძველზე.<br>უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ სასწავლო პროგრამების და კვლევითი პროცესის შეფასებას. განსაზღვრულია შედეგების მიღწევის კრიტერიუმები. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხორციელდება პროგრამის და შეფასების სისტემის მოდიფიცირება.<br>პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის გრენობლის, ჟირონას, მალტას და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობის პირობებში. ამასთან, ხდება ანალოგების მოძიება და შესწავლა პროგრამის გაუმჯობესების თვლასაზრისით. პერიოდულად ხორციელდება პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით. |
| ○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;<br>○ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია დამსაქმებელთა და სტაჟირების განმახორციელებელ ობიექტებთან ინტენსიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა, სტუდენტებისათვის პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკა-სტაჟირების კომპონენტის უზრუნველსაყოფად |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**დასკვნის  გვერდების რაოდენობა: 31**

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

**<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u>**

**ეკა დევიძე**



**<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი</u>**

**ეკა ლეკაშვილი**



**ანა მიხელიძე**

